ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2699226

ნომერი: AR1413625

თარიღი : 15.06.2016

გაცემის თარიღი : 08.07.2016

გაცნობის თარიღი : 08.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი-დიღომის შემაერთებელ მაგისტრალზე, (ნაკვეთი N29/42) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თორნიკე იუკურიძე პ/ნ 01018001241
- თბილისი ს. დიღომი დიდგორის ქ. N 10

ორგანიზაცია:
- შპს "რომპეტროლ საქართველო" კოდი: 204493002

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებულ ბენზინგასამართ სადგურზე სარემონტო სამუშაოების–რებრენდირების, სარეკლამო აბრის, ლოგოს და ფასების მაჩვენებელი აბრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, გლდანი–დიღომის შემაერთებელ გზაზე (ნაკვ. #29/42), შპს "ენ სერვისი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მოიჯარის შპს "რომპეტროლ საქართველო"–ს მიერ არსებულ ბენზინგასამართ სადგურზე სარემონტო სამუშაოების–რებრენდირების, სარეკლამო აბრის, ლოგოს და ფასების მაჩვენებელი აბრის მოწყობას.
განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.11.04.029.042 ; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მინდობილობა, მესაკუთრის თანხმობა, იჯარის ხელშკრულება, ესკიზური ნახაზები, საკადასტრო გეგმა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, გლდანი–დიღომის შემაერთებელ გზაზე (ნაკვ. #29/42), შპს "ენ სერვისი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მოიჯარის შპს "რომპეტროლ საქართველო"–ს მიერ არსებულ ბენზინგასამართ სადგურზე სარემონტო სამუშაოების–რებრენდირების, სარეკლამო აბრის, ლოგოს და ფასების მაჩვენებელი აბრის მოწყობის შესაძლებლობას

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.